ხელშეკრულება №100
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ .გორი 26 ივლისი 2019 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“ (ს/კ417874973) (შემდგომში – „შემსყიდველი“), მისი დირექტორის გია ისიანის სახით და მეორეს მხრივ ი.მ. ნიკოლოზ ქობლიანიძის (ს.კ 59001003901) (შემდგომში „მიმწოდებელი“) სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით ფიზიკურ სიჯანსაღესთან დაკავშირებული მომსახურეობების (CPV98330000) შესყიდვა.

2 შესყიდვის ობიექტია

2.1.შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი”-ს ლიგა 3 გუნდის საუნით მომსახურება. მ.წ. 27 ივლისს 12 საათიდან 13 საათამდე 1 (ერთი) საათი. ერთი საათის მომსახურებაა 50 (ორმოცდაათი) ლარი.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარებში.

3.2. გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით.

3.3. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა 50 (ორმოცდაათი)ლარი.საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

4.შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1.მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 27 ივლისს.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: გორი ერისთავ ხოშტარიას 38.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით,შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარებში);

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.3. მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

7.3. ანაზღაურების ადგილია ქალაქი გორი.გურამიშვილის 5.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებილი პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება;

9.3.ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულე.ბლობით;

9.4ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5 ხელშეკრულებით გათვალ;ისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა

ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო .ღირებულების 0,02 %-ს ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ;

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე;

12.3. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

131. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1.შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, ინსპექტირების მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. მომსახურების მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი.

15. სხვა პირობები

15.1.მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

16. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი”	ი.მ. ნიკოლოზ ქობლიანიძე
მისამართი: გორი, გურამიშვილის ქ. № 5	მისამართი: გორი ერისთავ ხოშტარიას 38
საბანკო რეკვიზიტები: ბანკი- სახელმწიფო ხაზინა	საბანკო რეკვიზიტები სს„ვითიბი ბანკი ჯორგია” ბ/კ UGEBGE22
ბ/კოდი- TRESGE22	ანგ. GE05VT0200000305503602
ს/კ 417874973	ს.კ 59001003901
დირექტორი	
გია ისიანი	ნიკოლოზ ქობლიანიძე

Gia Isiani Digitally signed by Gia Isiani Date: 2019.07.26 13:54:27 +04'00'

Nikoloz Koblianidze Digitally signed by Nikoloz Koblianidze DN: cn=Nikoloz Koblianidze, serialNumber=59001003901, o=Citizen, c=GE Date: 2019.07.27 12:44:58 +04'00'